ხელშეკრულება №3-2020
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **24 დეკემბერი 2019 წ.**

ერთის მხრივ, **სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“** შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი - სააგენტოს უფროსის მოადგილე **ზაზა ლომიძის** სახით და მეორეს მხრივ **ი/მ „გიორგი კანდელაკი ვესტა“-ს** შემდგომში „მიმწოდებელი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში ცხრილში მოცემული საკანცელარიო საქონლის შესყიდვა (CPV 22800000 კოდი - ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები).

1.2. „მიმწოდებელმა“ შესყიდვის ობიექტის „შემსყიდველისათვის“ მიწოდება უნდა განახორციელოს 2020 წლის 03 იანვრიდან - 2020 წლის 30 ივნისამდე, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

2.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 726,50 (შვიდასოცდაექვსი ლარი და 50 თეთრი) **ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2 საქონლის დეტალური ჩამონათვალი და გაანგარიშება მოცემულია ცხრილში:

№	დასახელება	CPV-კოდი	რ–ბა	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	ჯამი
1	ბლოკნოტი A5	22816100	3	ცალი	6.0	18
2	ჩასანიშნი ფერადი ქაღალდი 80*80*500	22816300	20	შეკვრა	1.60	32
3	ჩასანიშნი წებოვანი ქაღალდი 76x76მმ	22816000	20	შეკვრა	0.50	10
4	ბაინდერი A4 (განიერი)	22851000	100	ცალი	2,50	250
5	ბაინდერი A4 (ვიწრო)	22851000	50	ცალი	2,50	125
6	საქაღალდე (პლასტიკური; რეზინით A4)	22852000	10	ცალი	0,85	8,50
7	საქაღალდე (პლასტიკური; ღილაკით A4)	22852000	10	ცალი	0,30	3
8	საქაღალდე (მუყაოს თასმით)	22852000	100	ცალი	0,25	25
9	სწრაფჩამკერი (პლასტიკური 2058)	22852000	250	ცალი	0,20	50
10	სწრაფჩამკერი (კლიპ ფაილ დამჭერი)	22852000	10	ცალი	1,30	13
11	სწრაფჩამკერი (ზამბარით)	22852000	20	ცალი	1,50	30
12	ფაილი	22852100	60	შეკვრა	2,70	162
					სულ ჯამი :	**726.50 ლარი**

3. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.
4.2 გარანტიის მოქმედების ვადად განისაზღვრება: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის, მიწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი ,,მიღება ჩაბარების" აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
5.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი
5.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.
6.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.
6.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება შესაბმისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან (დოკუმენტაცია წარდგენილად ჩაითვლება მხოლოდ შემსყიდველის მიერ დადასტურების შედმეგ) 10 საბანკო დღეში.
6.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე და ასევე მის ვალდებულებებზე.
6.4 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულია ღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლისღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებს ან/და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებები სშესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არა ოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებული და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	**"მიმწოდებელი"**
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური	ი/მ "გიორგი კანდელაკი ვესტა"
კავშირგაბმულობის სააგენტო"	ს/კ 01009005243
ს/კ 204429494	ტელ: +322961931
მის: ქ.თბილისი 9 აპრილის ქ. №2	მის:ქ. თბილისი, დ.აღმაშენებელის გამზ 55/1
ხაზინის ერთიანი ანგარიში: სსიპ	სს „საქართველოს ბანკი"
„სახელისუფლებო სპეციალური	ბანკის კოდი:BAGAGE22
კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის" - 4003	ა/ა GE75BG 0000000888000801
GE24NB0330100200165022	
ანგარიში/სახაზინო კოდი-7 07717121	ი/მ გიორგი კანდელაკი
სააგენტოს უფროსის მოადგილე	
ზაზა ლომიძე	
_____	_____

LEPL Governmental Special Communications Agency

Digitally signed by LEPL Governmental Special Communications Agency
Date: 2019.12.26 14:53:09 +04'00'